**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს დებულება**

**მუხლი 1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭო**

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (ტექსტში შემდგომ ,,სამინისტრო") მრჩეველთა საბჭო (ტექსტში შემდგომ ,,საბჭო") არის მინისტრის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება მინისტრის ბრძანებით, საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–5 პუნქტისა და 29–ე მუხლის შესაბამისად.
2. საბჭო იქმნება საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტთან, იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან და სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით დეცენტრალიზაციის პროცესის განხორციელების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების, ამ სფეროში რეფორმების დაგეგმვის, რეფორმების მიმდინარეობის პროცესის მხარდაჭერისა და კომპეტენციის ფარგლებში მონიტორინგის მიზნით.

**მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის მიზნები და ამოცანები**

1. საბჭოს საქმიანობის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების მიზნით რეფორმების დაგეგმვის, რეფორმების განხორციელების, რეფორმის მიზნით მომზადებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება.

2. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

**მუხლი 3. საბჭოს უფლება-მოვალეობანი**

საბჭო უფლებამოსილია:

ა) მისთვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე მოამზადოს და განსახილველად წარმოადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები;

ბ) სამინისტროდან, სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები;

გ) შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები და განსაზღვროს მათი შემადგენლობა.

**მუხლი 4. საბჭოს შემადგენლობა**

1. საბჭო შედგება დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისაგან.

2. საბჭოს უფლება აქვს მიმართოს მინისტრს დასაბუთებული რეკომენდაციით საბჭოდან წევრის გაყვანის ან საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრის შეყვანის შესახებ. გადაწყვეტილებას ასეთი რეკომენდაციის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ იღებს მინისტრი.

3. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) ობიექტური ან სუბიექტური მიზეზების გამო საბჭოს მუშაობაში ხანგრძლივად (3 თვე) მონაწილეობის მიუღებლობისას;

გ) საბჭოს წარდგინებით (საბჭოს წევრის მიერ დებულების დარღვევის შემთხვევაში).

4. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს.

**მუხლი 5. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. საბჭოს სხდომას იწვევს და წარმართავს თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში-მოადგილე. მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას წარმართავს საბჭოს სხდომის მიერ არჩეული წამყვანი. საბჭო მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც,
2. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ადგენს საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს წევრების წინადადებების გათვალისწინებით.
3. საბჭოს წევრებს, საბჭოს სხდომის დღის წესრიგი და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული სხვა მასალები მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
4. საბჭოს სახელით გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა სხდომის დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი.
6. საბჭოს წევრი, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას, განსხვავებულ აზრს გამოხატავს წერილობით, რომელიც თან ერთვის სხდომის ოქმს.
7. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეული იქნეს საბჭოს თავმჯდომარის, წევრთა 1/3–ის და მინისტრის(მოადგილის) მოთხოვნით.

**მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე**

1. საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე აირჩევა საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.
2. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) წარმართავს საბჭოს საქმიანობას;

ბ) დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს სამუშაო გეგმას;

გ) იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს;

დ) წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობისას.

3. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

**მუხლი 7. საბჭოს წევრის უფლება–მოვალეობანი**

საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობაში, უშუალოდ ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოადგინოს თავის წინადადებები და რეკომენდაციები საბჭოს მიერ განსახილველ საკითხებზე;

ბ) შევიდეს და გადაადგილდეს სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში, ამ ორგანოს საჯარო მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) ფარგლებში;

გ) შეუფერხებლად შეხვდეს სამინისტროს თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დ) საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული პირადი პოზიცია საბჭოს სხდომის ოქმში შეტანით და საჯაროდ.

**მუხლი 8. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს მინისტრის აპარატი.

**მუხლი 9. საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა**

საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანა ან დებულების გაუქმება ხდება მინისტრის ბრძანებით, საბჭოს წარდგინების საფუძველზე.